# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 64
წელიწადი პირველი
= 1912 =

ოთხშაბათი, 12 დეკემბ.

რედაქცია მოთავსებულია **ქუთაისში**, ივანოვის ქუჩაზე, **პ. ი. ჭილაძის** სახლში, (**ჭიათურის** შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.


## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **იმერეთი** წელიწადი მეორე 1913

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკენისთვეს ორი მანეთი.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

**ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:**

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჭილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“—ისიდორე კეცარიძესთან, ქალაქის ბაღის პირდაპირ; ამბროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (ღულაძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; ჭიათურაში—შილაკაძესთან, ფოთში—სიმონ ორაგველიძესთან, სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—ი. კაკაბაძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—გ. მახარაძესთან, ხაშურში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; დაბნხეთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. ლეჟავასთან; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.


აბა, მოსწიეთ პაპიროსი
15 ცალი 6 კ. **„ანი“** 25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

აბა, მოსწიეთ პაპიროსი
20 ცალი 1 შაურათ **„ბელაია რომაშკა“** 20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.

ფართლეულობის ვაჭრობა **„რომანოზ ქაიხოსროს-ძის მახარაძისა“** ვორონცოვის ქუჩაზე
პირველი ქრისტეშობისთვიდან მოკლე ვადით ნიშნავს
**დიდ იაფ ვაჭრობას**
ყოველგვარ საზამთრო ფართლეულისას, როგორც შალეულობისა, აგრეთვე ბამბეულისას, რომლის ფასებში პატივცემული მუშტრები დიდს განსხვავებას დაინახავენ.
პატივისცემით **რომანოზ ქ. მახარაძე.**

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს დაბა ლანჩხუთში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის
**ლიუბა პავლეს ასულის გუნცაძის**
მეუღლის სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე მისი კონსტანტინე სიმონის ძე გუნცაძე და მშობლები პავლე და ფადიმე ურუშაძეები.

**ორშაბათიდან, 3 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 24 დეკემბრამდი**
სავაჭრო სახლი
**ა. მ. ვართანოვი და ამხ.**
ნიშნავს
დიდ საშობაო
იაფ ვაჭრობას.

ახლათ გახსნილი სამანუფაქტ. მაღაზია
**გ. დ. კაჭკაჭოვისა.**
(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).
საზოგადოების თხოვნით დიდ **იაფვაჭრობას** ვაგძელებ 25 დეკემბრამდი.
სადაც გაიყიდება მაუდების, შალების, აბრეშუმების, ტილოებისა და ბამბეულობის მასალა, „ფატერიები, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები.“ ფასები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედოვ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით
პატივისცემით გ. დ. კაჭკაჭოვი

ფართლეულობის მაღაზია
ქუთაისში **ზ. ს. ბუტულოვისა** ქუთაისში
გიმნაზიის ქუჩა, ს. რიჟინაშვილისა. ბულვარის პირად.
გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას რომ ამა დეკემბრის 8—24-ინ ვნიშნავთ
**საშობაო დიდ იაფ-ფასიან ვაჭრობას**
პატივისცემით ზ. ს. ბუტულოვი.

**გაფრთხილება სოფლის მეურნეებს.**
მსურველები, რომელთაც სწადიათ აღადგინონ თავიანთი ვენახები ამერიკული ვაზების საშუალებით უნდა უფრთხილდენ **რუპესტრისზე** ნამყნების დარგვას, ღრმა ნაყოფიერს, სველ-წყლიანს, მძიმე თიხნარსა და მტკიცე, მაგარს თიხა-ნარევს მიწებზე, სადაც ის იძლევა უგამძლეო სუსტსა და ავათმყოფ ვენახებს, ცოტა მოსავალს ცუდ ღვინოსა და ძლიერ მალეც ილუპება, ხმება.
რჩევასა და ყოველგვარ დარიგებას იძლევა უფასოთ.
პ. ტიეზო ქუთაისში.

**ალექსანდრე კოსტავას**
**ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში**
თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.
ახლათ მივიღეთ: კოსტუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი ტანისამოსი 25% ნაკლებ იყიდება, რადგანაც სეზონი გადის და ბევრი ჩამოგვრჩა. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმისაწვდომ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტუმო მატერია კაცებისათვის.

**ექიმი ი. ჩარექოვი.**
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

**ბებია ქალი**
ო. დონდუას ასული
ექიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.
პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

**ექიმი** ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**ექიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

კბილის **ექიმი** ა. დ. აბაშიძის ასული ჭიჭინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას სახლი.

**ექიმი.** გ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადავიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

პაეზზე დაფუძნებული ამხანაგობა
ს. მ. კირაკოზოვისა ძმ. გ. ოგანოვის
ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.
ამ მოკლე დროში ვნიშნავ დიდ იაფ
ვაჭრობას
ვაჭრობის დანიშვნის დღე თავის დროზე გამოცხადდება.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. ოცხელების შენობაში **ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში**, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; **კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები** ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, **ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების** საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წინდისაკრავისთვის და აგრეთვე მზა წინდისაკრავი ქალთა და ბავშთათვის. **სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას**, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

**ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ.** პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

## დღიური.

სალონიკში მეფე ფერდინანდს როგორც ბულგარლები ისე ებრაელები დიდის ამბით შეხვდენ.

— სირბიელები, რომელნიც ავსტრიაში ცხოვრობდენ, სამსახურიდან დაითხოვეს.

— მშვიდობიანობის შესახებ კრებაზე დანევმა სთქვა: თუ ომი გაგძელდა, იგი ევროპის ოსმალეთს ბოლოს მოუღებსო.

— პორტამ ლონდონში თავის დელეგატებს აცნობა—მოითხოვეთ საბერძნეთის დელეგატების კრებიდან გაძევებაო.

— ჩინეთის მთავრობის ოფიციალური გაზეთი ამბობს: დღევანდელ პირობებში რუსეთთან ომი მოუხერხებელია, ჯერ სერიოზული სამხედრო მომზადება გვმართებს, მოვა დრო და რუსეთს სამაგიეროს მივუზღავთო.

— კოკოვცოვის დეკლარაციას 63 დეპუტატი გასცემს პასუხს.

— გერმანიის პრესის აზრით კოკოვცოვის სიტყვა გაურკვეველი იყო. თავის სასარგებლო ადგილებს მასში ყველა იპოვიდაო.

— ავსტრია-სერბიის [illegible] [illegible] დამთავრდა.

— ლონდონელი [illegible] გაზეთის აზრით [illegible] კოკოვცოვმა [illegible] ფერს ინგლისის თვალსაზრისით შეხედა.

— ავსტრიას შავმთიელეთის საზღვარზე 35,000 ჯარის კაცი ყავს.

— მოსკოვის მახლობლათ სტუდენტმა ალ. სოლომონოვმა დედა და მამა მოკლა. მკვლელობის შემდეგ პოლიციაში გამოცხადდა.

— პაშიჩმა გამოაცხადა: ჩვენ ყოველთვის გვინდოდა და გვინდა ავსტრიასთან მეგობრული დამოკიდებულებაო.

— იანინის მახლობლათ ბრძოლა ოსმალ-ბერძენთ შორის კიდევ გძელდება.

## ახალი ამბავი.

გაზ. ,,დენში'' ვკითხულობთ:

,,რედაქციამ მიიღო კიევიდან 150 ქართველი სტუდენტის ხელმოწერილი პროტესტი იმ პოზიციის წინაამდეგ, რომელიც ინციდენტში ე. პ. გეგეჭკორმა დაიჭირა. ვინაიდან ამ ინციდენტს ამ ჟამად სპეციალური კომისია იძიებს, ამ პროტესტის გამოქვეყნება უხერხულათ მიგვაჩნია''.

თფილისის გაზეთმა კი იმ სახით მოგვიტანა ეს ამბავი, როგორც წინა ნუმერში გვქონდა მოთავსებული.

✦ ქალაქის პირველ დაწყებით შკოლების გამგეთ დირექციამ აცნობა, რომ დროებით სწავლის წესი იმგვარათვე აწარმოეთ, როგორც აქამდი გიწარმოებიათ და გაკვეთილების ახალი ნუსხის წარმოდგენა საჭირო არაა ჯერ-ჯერობით ჩვენი ახალი განკარგულების თანახმათო.

ამრიგათ ნაადრევათ მიგვაჩნია—მეტი რომ არა ვთქვათ—იმ სამი გამგის ბალიადური წარდგინება დირექციისადმი გაკვეთილების ახალი ნუსხით წარმოებისა.

✦ ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკის ბუღალტერი ბ, ს. ჟორჟოლაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზ. „ზაკ. რეჩ'ი" მოყვანილი ცნობა, ვითომ ზოგიერთები ქალ. გამგ. წევრობაზე მე მასახელებდენ მტკნარი სიყალბეა; არაოდეს სახეში არ მქონია ჩემი კანდიდატურა წამოყენებია ამ ადგილზე და არც არავისგან გამიგონია ეს ამბავიო.

✦ ხვალ ქართულ თეატრში გ. არადელ-იმხნელის ბენეფისია. ეს მსახიობი პირველი სეზონია, რომ თამაშობს ქუთაისის სცენაზე. ამ მოკლე დროში სამართლიანი და ღირსეული სიყვარული დაიმსახურა საზოგადოებისა. ახალი პიესა, ჰაუპტმანის სახელი და სიმპატიური მსახიობის დღესასწაული—ყველა ეს საბუთად კმარა, რომ საზოგადოება მიიზიდოს ამ წარმოდგენამ.

✦ [illegible] საზოგადოების მიერ გამართულ [illegible] [illegible] ული არ არის, ვარაუდათ რვაას მანეთს აღემატებაო. საღამოს ელფერი შემატა თავის სიმღერით რუსული ოპერეტკის მსახიობმა ქალმა თამარმა.

✦ 15-დან 23 დეკემბრამდი ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის სახელით გაიმართება საკოოპერაციო კურსები კოოპერატივების პრაქტიკულ ხელმძღვანელთა მოსამზადებლათ. მსმენლებს გააცნობენ მომხმარებელ სამეურნეო საკრედიტო, შემნახველ-გამსესხებელ და სხვა ამხანაგობებს; წაკითხული იქნება რამდენიმე ლექცია უცხოეთისა და რუსეთის საკოოპერაციო კანონდებულებაზე; განსაკუთრებული და დიდი ყურადღება იქნება მიქცეული პრაქტიკულ საკითხებზე: მომხმარებელ საზოგადოებაში მსმენლებს გააცნობენ ამერიკულ სისტემის ანგარიშებს, ხოლო ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობაში—წვრილი კრედიტის დაწესებულებებში შემოღებულ საანგარიშო სისტემას. კურსებზე მიიღება ორივე სქესის პირი, საშვალო და დაბალ სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი და აგრეთვე ისეთებიც, რომელთაც განათლება თვითგანვითარებით აქვთ მიღებული. მაცადინობა ქართულ ენაზე იქნება. კურსების მოწყობისა და სხვადასხვა ხარჯისათვის მსმენელებს გადახდებათ ხუთ-ხუთი მანეთი. კურსების მომწყობნი ღებულობენ ზომებს მსმენლებისთვის იაფი ბინების მოსაძებნათ. განცხადება უნდა შემოვიდეს 14 დეკემბრამდი. ამ მისამართით: ქუთაისი, მომხმარებელი საზოგადოება ,,პროგრესი'', კურსებისათვის.

### მოწერილი ამბავი.

**ფოთი.**

ხუთ დეკემბერს მშობელთა წრის თაოსნობით სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ ამავე სასწავლებლის შენობის დარბაზში გამართული იყო ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამო. საღამოში სხვათა შორის მონაწილეობას იღებდენ მგოსნები: ლ. გეგეჭკორი და ს. აბაშელი. საღამომ საერთოდ უფერულათ ჩაიარა. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

— ეს რამდენიმე დღეა გამუდმებით წვიმს. გზები და თხრილები წყლით აივსო. მოუკირწლავ ქუჩებზე გუბეები დგას და კაცს არ გაესვლება. ბევრი სახლი წყალში სდგას. ქალაქის გამგეობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს; საჭიროა ქუჩების გაკეთება, მოკირწვლა; საჭიროა ისეთ ადგილებში, სადაც გუბეები დგება, თხრილები გაკეთდეს და წყალს წასასვლელი გზა მიეცეს. ასეთი ქუჩების პატრონებს ღამით სინათლე გვჭირია; ამასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

— რუსი მსახიობების დასი კვირაში სისტემატიურათ სამ წარმოდგენას მართავს. ხალხი წარმოდგენებს ნაკლებათ ესწრება, დაეს არც საკვირველია, რადგან ფოთში უმთავრესათ ქართველები ცხოვრობენ. უფრო ბუნებრივი და მიზანთან შეწონილი იქნებოდა ქართველ მსახიობთა დასის არსებობა.

— სომხთა სამრევლო შკოლის პატრონმა ნება არ მისცა ბათომის ქართულ დასს [illegible] თოს ამ სასწავლებლის დარბაზში. ქართული თეატრის არსებობა ფოთში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და სწორეთ საკვირველია, რომ ადგილობრივ საზოგადოებას იგი აქამდი ვერ აუგია.

**ალპანა (ლეჩხუმი).**

✦ ცხრა დეკემბერს ლაილაშელმა ებრაელებმა ჩამოგვიტანეს ალპანაში შემდეგი ამბავი: მესამე ხიდზე, (ცაგერის გზაზე, მდ. ლაჯანურის ხეობაში), ვიღაც დამხჩვალი კაცია ბაწარზე ჩამოკიდებულიო. მაშინვე გავეშურეთ დასახელებული ადგილებისკენ. ვნახეთ ხიდის ხარიხზე ინგლისური ბაწარი მჭიდროთ ჩაბმული ორფათ, და ორფათვე ხიდის დაბლა ჩაკიდებული. კისერზე მაყურჯათ მოდებული ადამიანის გვამი. ქუდი (შლაპა) ორფათ შეგრეხილ ბაწარში იყო მოტნეული. ქოლგა ხიდზე მიკრულ ბაწართან იყო მიყუდებული; ჩაცმულობა შტაცკური ქონდა, ყველაფერი ახალი ეცვა. ბოქაულიც ჩამოვიდა ლაილაშიდან. ამოვწიეთ დამხჩვალი გვამი; გაუშინჯეთ ჯიბეები, წერილი არ აღმოჩნდა, თითზე ოქროს ბეჭედი ქონდა, ელექტრონის პატარა ფარანი, ვერცხლის კარგი საათი ახალი ოქროს ჯაჭვით და ბრელოკით, საფულე ორი მანეთით და თეთრი კაპეიკით, ჯაყვა, ხელთათმანები და ოთხი გასაღები. ალავიძის დუქანში დარჩენია პატარა კალათი, რომელიც ჯერ არ გაგვიხსნია. ესუცნობი აღმოჩნდა ავქსენტი მიხეილის ძე ფრუიძე. გვამი ასვენია ალპანის საგლეხო სამართველოში.

## გაკვრით.

ქუთაისს რომ „საარჩევნო ქალაქი" ვუწოდოთ, ჩემის აზრით; არ იქნება სამართლიანობას მოკლებული.

თევზი უწყლოთ ვერ გასძლებს,—ქუთაისი კი, უარჩევნოთ. ნერვებ აშლილი ქუთაისის მოქალაქის ერთად ერთ ნავთსაყუდარი საარჩევნო ფანდებით გართობაა. დღიური ჭირ-ვარამითა და ქუთაისის მოდუნებული, უსიცოცხლო ცხოვრებით თავმობეზრებული მოქალაქე არჩევნებში პოებს განცხრომას... სულ ერთია, როგორი არჩევნებიც არ უნდა იყოს: მარშლის, დეპუტატის, ქალაქის თავის, ხმოსნის, თუ მამასახლისის. მართლაც, რითი გაირთოს თავი იმერულმა, მაღალი ტემპერამენტის მქონე მოქალაქემ. ქალაქი სრულიად მოკლებულია მრეწველობის ყოველსავე დარგს (თუ მხეცველობაში არ მივიღებთ, მესხეთიდან შემოტანილ ბოლოკს და მის ტარანზე გადაცვლას); არც უნივერსიტეტი, არც ტრამვაი, არც განათება, არც თეატრი... (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ერთი წელიწადია ამ თეატრისთვის გაფაციცებით ადგილს ვეძებთ.)

მოახლოვდება რომელიმე არჩევანი და შეიქნება ერთი აურ-ზაური: პარტიობა, იმერული ხრიკი, მეგობრული კვანტი, ინტელიგენცია, სხვა დროს მაღალი იდეალების მქადაგებელი და ყოველნაირ პროტექციონიზმის ვითომდა მოსისხლე მტერი, გაიქლენთება პირადი სიმპატია-ანტიპატიით და შეიქნება ჯგუფობა. ვინ დაგიდევს ასარჩევ პირის ავ-კარგიანობას!

სათათფიროს არჩევნებით ძალამიხთილ მოქალაქის, ჯერ ანგარიში ვერ გაეწია და ეპასუხა ყოველივე იმ უკულმართობისათვის, რაც მის გარშემო ხთებოდა, რომ გამგეობის წევრის არჩევის საკითხი კარს მოადგა.

და, აი, შეიქნა მიწევ-მოწევა. ხმოსანთა უკანასკნელ წინასწარ კრებაზე ხმის უმეტესობით ქალაქის ხმოსნებს დაუსახელებიათ ვინმე ინჟინერი ვაწაძე, რომელიც ადგილობრივ პირობებს სრულებით არ იცნობს და ხმოსანთა უმეტესობისთვის ისეთივე უცნობია, როგორც თქვენთვის პატივცემულო მკითხველო, რა თქმა უნდა, ამით არა მსურს ბ. ვაწაძის დამცირება, მხოლოდ მოვაგონებ პატივცემულ ხმოსანთ—ჯეროვანის პატივისცემით და ყურადღებით მოეპყრან, როგორც პიროვნებათ, აგრეთვე საქალაქო საქმეს და ერთს წუთსაც ნუ დაივიწყებენ, რომ გამგეობის წევრათ არ კმარა მარტო რაიმე სპეციალური საგნის მცოდნე, ან მოქალაქეთაგან ფულის მომკრეფი, არამედ ღრმათ მცოდნე ადგილობრივი ჭირ-ვარამისა და სამართლიანობის ალღოთი დაჯილდოებული ადამიანი.

## კოოპერატიული მოძრაობა ფინლანდიაში.

(გებგარდის თხზულებიდან).

კოოპერაციის საქმეს ფინლანდელებმა მე 90 წლეებიდან მოკიდეს ხელი. ამ წლიდან იწყეს იქ კოოპერატიული აზრის გავრცელება. ბეჭდავდენ წიგნაკებს, გაზეთებში წერილებს ათავსებდენ და მით ხალხში კოოპერაციის სარგებლობის აზრი შექონდათ. მაშინ ფინურ გაზეთებში წერილებსაც ხშირათ შეხვდებოდით ინგლისისა, დანიისა გერმანიისა დ ბელგიის მომხმარებელ საზოგადოებათა შესახებ

მე 90 წლეებში სწერდენ მხოლოდ, მაგრამ მათ წერას ნაყოფი არ მოქონდა დ მხარე კოოპერატიული საზოგადოებებით არ იფინებოდა. იმ ხანებში თუ დაარსდა კოოპერატიული საზოგადოება მანაც კოოპერატორთა კოოპერაციის საქმეში უვიცობის წყალობით სული განუტევა.

ფინლანდიაში კოოპერაციის გავრცელებას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ. 1893—4 წელს გებგარდმა გერმანიის აგრარული პოლიტიკა შეისწავლა. ამ შესწავლამ მას დაანახვა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას სასოფლო მეურნეობაში. ამის შემდეგ გებგარდი მთელი ევროპის კოოპერატიული საზოგადოების და პროფესიონალური კავშირების შესახებ მასალების შეკრებას შეუდგა. მასალები შეკრიბა კიდეც და ის 1898—9 წელს ფინურ ენაზე ცალკე დიდ წიგნათაც გამოსცა. ამავე წელს ქალაქის კოოპერაციის შესახებ შვედურ ენაზე 300 გვერდიანი წიგნი გამოვიდა.

კოოპერაციის გავრცელებას ხელი შეუწყო 1899 წელს ფინლანდიის წინაამდეგ გალაშქრებამაც. ამ გალაშქრებას ის შედეგი მოყვა, რომ საზოგადოების განათლებულ ნაწილში დაიბადა აზრი ხალხის ქონებრივათ აღდგენისა და გონებრივათ განვითარებისა. ხალხი რომ ქონებრივათ აღედგინათ ამ მიზნით იწყეს საკოოპერაციო დაწესებულებათა დაარსება. აარსებდენ სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებასაც.

სხვათა შორის მაშინ დაარსდა ,,პალერვოს'' საზოგადოება. რადგანაც ამ საზოგადოებამ კოოპერაციის გავრცელების საქმეში დიდი როლი ითამაშა, ამიტომ მასზე ცოტა ხნით შევჩერდები. ხსენებული საზოგადოება დღესაც არსებობს და თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას დღესაც განაგრძობს. საზოგადოება კერძო ინტელიგენტურმა პირებმა დაარსეს. პირველი პარაგრაფი საზოგადოებისა გვამცნობს, რომ მას აქვს დასახული კოოპერაციის გავრცელებით ხალხის ქონებრივათ აღდგენა. ,,პალერვოს დამაარსებლები კოოპერატიულ აზრს უმთავრესათ სოფლათ ავრცელებდენ ვინაიდან სოფელი მაშინ ეკონომიურ კრიზისს გაიცდიდა.

მეურნეობა უნუგეშო მდგომარეობაში იყო, მიწას უვარგისი იარაღებით ამუშავებდენ და ეს კიდევ დიდხანს გაგძელდებოდა, რომ ხალხი ამ გაჭირვებიდან კოოპერაციებს არ დაეხსნა- დაარსეს იმგვარი კოოპერაცია, სადაც ხალხი შეერთდებოდა და გამოიწერდა სამეურნეო იარაღებს. ასეთივე შეერთებული ძალით იწყეს მიწის გამაპოხიერებელი ნივთიერების შეძენა და სხვ. ხალხი კოპერატიული მოძრაობის ფერხულში ჩაება და კოოპერაციებში მუშაობამ ის გონებრივი მხრითაც გაავითარა.

აღსანიშნავია, რომ ფინლანდიაში კოოპერაციის დამაარსებლებათ გამოდიოდენ არა გლეხები, არა მუშები, არამედ ინტელიგენტური პირები, რომელთაც მეცნიერული ცოდნა ქონდათ მიღებული. საზოგადოება ,,პოლერვო'' უმაღლესი განათლება მიღებული პირებმა, დაარსეს.

ამავე პირთ შეადგინეს პროექტი ფინლანდიის კოოპერაციის შესახებ. ეს პროექტი 1900 წელს სეიმმა დაამტკიცა, ხოლო 1901 წლიდან ძალაში შევიდა. ,,პალერვოს'' დამაარსებელნი სრულიად დარწმუნებულნი იყვენ, რომ საზოგადოების ყველა ნაწილი მათ მიერ დაწყებულ საქმეს თანაგრძნობით მოეკიდებოდა. ისინი არ მოტყვილდენ და პირველ ხანათ საზოგადოების დაარსებას მართლაც ყველა დიდი აღტაცებით შეხვდა. მაშინ გაზეთებშიც ისტამბებოდა ბევრი წერილები საზოგადოება ,,პალერვოს'' სარგებლობის შესახებ.

საზოგადოებას ყველა თანაგრძნობით ეკიდებოდა მანამ, სანამ საქმე ცარიელ სიტყვებზე იყო, ხოლო, როდესაც პრაქტიკულათ მუშაობის დრომ მოაწია აქ კი საზოგადოებას ბევრი გაუდგა განზე. „პალერვოს'' ამ დაბრკოლებამაც ვერაფერი დააკლო და ის თავის საქმეებს თანდათან აფართოვებდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ ეს საზოგადოება 1899 წელს დაარსდა, ხოლო კანონი კოოპერაციის შესახებ კი 1901 წელს გამოვიდა. ამ ორი წლის განმავლობაში ,,პალერვო'' იმით კმაყოფილდებოდა რომ ავრცელებდა კოოპერატიულ იდეას ხალხში და ამით კოოპერაციას ნიადაგს უმზადებდა. „პალერვო"მ შეამუშავა სამაგალითო წესდება კოოპერაციის ყველა დარგის შესახებ.

კოოპერაციის გავრცელებისათვის რომ მარტო სამაგალითო წესდება არ იყო საკმაო. ეს პალერვოს სათავეში მდგომთაც კარგათ ესმოდათ და ამიტომ კოოპერატორთათვის სახელმძღვანელო წიგნიც გამოსცეს. ასეთი სახელმძღვანელო წიგნი მალე ერბოს გამსაღებელ კოოპერაციებმა და წვრილმა კრედიტის საზოგადოებამაც გამოსცა. ცოტა ხანს შემდეგ ფინურ ენაზე კოოპერაციის ყოველი დარგის სახელმძღვანელო წიგნი მოიპოვებოდა.

ფინლანდიის კოოპერაციებით მოფენა 1901 წლიდან იწყება, როდესაც კოოპერაციების შესახებ სეიმმა კანონი შეიმუშავა. „პალერვო" ამას შემდეგ კოოპერატიულ მოძრაობის გავრცელებას იმითაც უწყობდა ხელს, რომ ყოველ

უნებლიეთ მაგონდება ბაქო:—წელიწადზე მეტია, სამოურავო კაცს ეძებს, მთლად შემოიარა რუსეთის ყველა ქალაქი. ისიც მაგონდება, რომ ამასწინათ ერთი ქუთაისის მეზობელი ქალაქის მოურავი ურჩევდა ჩვენი ქალაქის მამებს:—მე მყავს ერთი შესანიშნავი მოსამსახურე კაცი, წაიყვანეთ, დაგასახლებსთო... ჩვენ ყური მოვკარით, რომ ახლანდელ კანდიდატზეც ასეთი ცნობა მოსვლიათ ზოგიერთებს იმ კაცისაგან, ვისთანაც იგი დღეს მსახურობსო. ბატონო, ამ ამშენებელს და დამსახლებელს ჩვენთვის რატომ იმეტებენ—ამას უნდა ჩავუფიქრდეთ კარგათ. ისე დავჩიავდით, რომ ქალაქის საწევრო კაცი ჩვენშივე ველარ მოვიძიეთ!?

მიხაკო.

## სახალხო შკოლა.

**არ იყო ძმარიო, მიუმატეს წყალიო.**

რა უნდა ქნას ადამიანმა, როდესაც მას ყოველი მხრით დაბრკოლება ხვდება. დაბრკოლება ხელოვნური და არა ბუნებრივი... ბუნებრივ დაბრკოლებას კიდევ გადალახავს ადამიანი და გაიკაფავს გზას მიზნის მისაწევათ, მაგრამ როდესაც მას, განზრახ მახეებს უგებენ, აქ კი დიდი სულიერი ბრძოლა სჭირია, შებოჭვილია... განსაზღვრული ფარგალი აქვს სამუშაოთ და ვაი მას, თუ გადაცდა ამ საზღვარს... ჩაქოლვენ, დატუქსვენ... ხშირათ ადამიანი ველარ იტანს ამ პირობებს, ხმას ამოიღებს უკანონო მოქმედებაზე და ჯილდოთ ღებულობს მას, რაც დღეს არა იშვიათი მოვლენაა...

აი, ამ პირობებშია დღევანდელი ჩვენი სახალხო შკოლის მასწავლებელი... თუ ცოტათ მაინც სასიკეთოდ სცემდა ამდენხანს იმისი გული, დღეს სავალალოთ გახდომია ყველაფერი... შეუკვეცეს სამუშაო ასპარეზი... განზრახ აცთუნენ ბუნებრივ გზას და ძალით ხელოვნურს, არა პედაგოგიურ გზას უჩენენ: გინდა, იმუშავე ამ პირობებში, არა და მიბძანდი, სხვებიც გვეშოვებაო... არ იკმარეს,—ეკვენისთვიდან შემოღეს, პირველ განყოფილებაში რუსულის სწავლება (პირველ განყოფილებაში ამ საგანს დათმობილი აქვს ექვსი გაკვეთილი იანვრამდი, და მერე კი რვა.) და ახლა კიდევ, როგორც გადმოგვცემენ მუნჯურ მეთოდსაც თხოულობენ!!! ამას ახალი ინსპექტორის „რევიზიის" შედეგები გვიმტკიცებენ... რა უნდა ქნას ადამიანმა ასეთ პირობებში!?. განსაკუთრებით კი საწყალმა, ისეც ყოველმხრივ დაბეჩავებულმა სოფლის მასწავლებელმა!?? მშიერი, მწყურვალე მიდის ის თავის შკოლაში... სურს იმუშაოს, გააკეთოს რამე... მაგრამ აქ მას ამდენი აუტანელი და შემაფერხებელი პირობები ხვდება... ამ დროს ის სწორეთ ავტომატს მოგვაგონებს... მაგრამ ნუთუ ეს ხალხის ლამპარი მართლა ავტომატია!? (მხედველობაში მყავს არა მელა კუდა მასწავლებლები) არა, ის ნამდვილი ბუნების შვილია და მშვენიერათ გრძნობს, თუ რა შედეგები მოყვება ამგვარ პირობებში მის მუშაობას... გრძნობს ყველაფერს და თავს ებრძვის... მას მეტათ აწუხებს ის გარემოება, რომ ნაზი და უმანკო ბუნება მოზარდი თაობისა ასე ჩლუნგდება, მაგრამ რა ქნას?!! არსაიდან ხსნა, მაშველი ხელი.

პანლასი.

## „მდგომარეობა" და „შეგნება".

(ახალი გამოკვლევა).

დიდი ხანია თავს იმტვრევენ იმაზე, თუ რა ქმნის რას; მდგომარეობა, შეგნებას, თუ შეგნება მდგომარეობას. ზოგნი, მაგალითად, დასელები ამბობენ, მდგომარეობა ქმნისო, სხვები ამბობენ,—შეგნებაო, არის ერთი მიწევ-მოწევა და აზრთა ტყორცნა... არ იქნა და, როგორც ბევრ სხვა რამეში, აქაც ვერ მოხთა შეთანხმება!.. ბოგანო მდგომარეობით პროლეტარი სოციალიზმს თავის თავათ შეიგნებსო—ეს რომ ასეა—ვინ არ იცის?—მდგომარეობით ბოგანო პაპუასერმა უკვე შეიგნეს „სოციალიზმი"—პროლეტარი ჰოტენტოტები უკვე სოციალისტები არიან! ამ რიგათ, მდგომარეობა ქმნის შეგნებას!..

მაგრამ მდგომარეობით მილიონერი ზინგერი შეგნებით სოციალისტიაო, ამბობენ! და რაღა ზინგერი!—აგერ სოლოლაკელი ლიპიანები, თუ გნებავთ ბ. არშაკიც, შეგონებული (კორექტურული შეცთომაა, უნდა იყოს შეგნებული) სოციალისტები არიან!,—შეგნებამ შვა მდგომარეობა!..

მ. სიმ. წერეთელმა რომ სახარება მარქსის კაპიტალზე გასცვალა,—ეს შეგნება იყო! მერე როცა ამ შეგნებამ სოფლის ხუცის ანაფორა რუსეთის კანონმდებელის ფრაკზე შეუცვალა, მისი მდგომარეობაც მყისვე შეიცვალა!

მაგრამ როცა მთავრობამ თავისი მდგომარეობა შეიგნო კანონმდებელის შეგნებით შექმნილი მდგომარეობაც შეიცვალა...

მესამე სათათბიროს არჩევნებამდი ვინ იცნობდა ბ. ე. გეგეჭკორს? რა ღვაწლი მიუძღოდა მას ქვეყნის წინაშე! რით დაიმსახურა ხალხის ნდობა და ყურადღება? ვისი წარმომადგენელი იყო ის?

— რით დაიმსახურაო?—რითა და—შეგნებით! შეიგნო"—მორჩა და გათავდა! [illegible] მდგომარეობა!

მაშინ უკმაყოფილონი ამბობდენ: „პროტესტი გავაცხადოთ, გეგეჭკორი ჩვენი წარმოდგენილი არ არის". მაგრამ ამათაც შეგნებამ ჩაუჩურჩულა: სულწასულობა და გულ ნამცეცობა, პაწია კაცუნობის ნიშანიაო", და გაჩერდენ.

გეგეჭკორმა მდგომარეობით ჩინებულათ ისარგებლა!.. მაგრამ მისი „მდგომარეობის" დროს—მეორე მხრით შეგნება გაიზარდა და ამ შეგნებამ დაამხო მისი მდგომარეობა!

წინეთ თუ მისმა შეგნებამ შექმნა მისივე მდგომარეობა, ახლა ეს მდგომარეობა ქმნის მის შეგნებას!..

თავის მდგომარეობის დროს მან, რასაკვირველია, შეგნებულათ ჩაუნისკარტა პოლონეთის ავტონომიას, მაგრამ შეგნებულათვე დაიმსახურა ზოგიერთ პროგრესიულ ელემენტებში ჩინებული სახელი!

დღევანდელმა მდგომარეობამ იგი ჩამოაქვეითა „აფხანიკთა" შეგნებამდი და ეს შეგნება მის ყოფ მდგომარეობას სულ სხვა მდგომარეაში აყენებს!

თავის ახალი მდგირეობით იგი ცთილობს რუსეთში სულ სხვაგვარი შეგნება შექმნას, მაგრამ ბათ ასეთი შეგნების შეტანის სურვილ მისი დღევანდელი მდგომარეობით ახსნა!..

ერთი სიტყვით, რმელი მხრითაც უნდა განიხილოთ ეს ორი ცნება, საიდანაც უნდა შემოუაროთ [illegible] დარწმუნდებით, რომ ერთი უმეორომ ვარგა, ერთიმეორეს ავსებს, „ქმნ"...

თუ ეს ასე არ არი—თქვენი ბედნიერი თვალით იხილეთ..

ატივისცემით...

„გაზეთი იმერეთის" ხელისმომწერთა

საყურადღებოთ

ჩვენი განცხადებს,

რომ ვინც 1912 წლის ხელის ფული [illegible] აქვს შეტანილი [illegible] დაიჩქარონ შემოტანა დამითი კანტორას საშუალება მისცე ამა მდგომარე წლის ანგარიშები შესწორონ.

## ცრემლები სულისა.

მიტოვებულ წისქვილში.

(ძღვნათ გიორგი ქუჩიშვილს).

ჩემო სულის დგმაჲ ჩემო სულის მეგობარო წისქვილის ოხო! ხუთი თვეა, რაც შენი ბორბლები ტრიალი შეწყდა, შეწყდა შენი გულის ჯეთქა, შენი სევდიანი ოხვრა... და მე მიხარია,—მიხარია, რადგან შენი რახუნი უწინ მაჯავრებდა, შენი ღრუტუნი გულს მისერავდა. ახლა კი შენი დადუმებული, სევდიანი სახე მიყვარს, მიყვარს შენი ცივი სიჩუმე... მარტო მე ვარ ახლა შენი გაჭირების მესაიდუმლე; მარტო მე მესმის შენი დადუმებული ქვების იდუმალი მოთქმა. [illegible] მე ვარ შენი გულის ერთგული მობაასე. საბრალო, ყველამ მიმატოვა, ვირთაგვებმაც კი გაგწირეს: მათი წკმუტუნიც აღარ გაისმის. მხოლოდ მე და ორიოდე ბოლოქანქალა, რომელნიც შენს სახურავზე დასეირნობენ,—მხოლოდ ჩვენ შეგრჩით. სევდიანი გეწვევი ხოლმე და შენს იდუმალობას ყურს ვუგდებ. ყურს ვუგდებ შენს სევდით მოცულ ოხვრას; გულს ვიხუტებ შენს გრძნობით ამონაკვნეს ტანჯვის ნანინას და სიჩუმეში ვინაბები... შენში ვხორციელდები...

ქოხო, ქოხო! ცელქი მდინარე შხუის შენს გვერდში, ანცი ხანის წყალი ¹) უცებ სულს მინაზავს, ყურს უგდებს შენს ოხვრას, ბოლოს ხრიალით ამოიკვნესებს და სალ კლდეს ეცემა,—მასაც ესმის შენი კვნესა, შენი ოხვრა. იგი შენი სიყვარულით კლდის ძირას ტრიალობს, უნდა შენთან მოვიდეს, გულში ჩაგეკრას გაგითფოს გული, მაგრამ... არ ძალუძს, ისევ კლდეს ჩუტჩუტით ეხეთქება, შორს მიჩხრიალობს. თუ შესძლო, ჩემო ძვირფასო ქოხო შემოდგომაზე გეწვევა, გულს ჩაგეკვრება, კიდეც დააპირებს შენს მოტაცებას, რომ გულში გატაროს, შენის ალერსით დასტკბეს, სულს ჩაგიხვიოს!.. მაგრამ ნუ გაყვები... მე ხომ ასე მიყვარხარ! ნუ გაყვები, ნუ!..

ქოხო ნეტავ რას ჩაფიქრდი, რათ გადმოხედე სევდით კერიას, რომელიც მხოლოდ ნაცრითაა სავსე! ამოიოხრე... ეხ, მართლა—ეს ის კერიაა, რომლის გვერდშიც ხალხი უწინ ფუსფუსობდა, შენ გადიდებდა, შენით ლუკმას სჭამდა. ახლა კერაც სდუმს. იგი დიდი ხანია აღარ გამთფარა, ვირთაგვებსაც მისი გული კუდებით დაუსერავთ.

ოხ, წისქვილის ქოხო! ახლა, ახლა მიყვარხარ! ახლა, ახლა ვარ შენი მუდმივი სტუმარი!.. უწინ, როცა შენი ქვები ხარბათ ფქვავდა შენ არ გეცალა,—შენ ღრმა ფიქრში გართული, სდუმდი. როცა შენი ყოველივე ასო მოქმედებდა, შენ არაფერს ამბობდი: ალბათ გულში ინახავდი სევდას, რომ ოდესმე გამოგეთქვა. შეიძლება კიდეც აკვნესდებოდი ხოლმე ხანდახან, მაგრამ კვნესა იგი, ალბათ რახუნთან შეერთებული, არ ისმოდა. ახლა კი ისმის შენი მოთქმა, შენი კვნესა წარსულზე შენი ოხვრა. და ახლა ვარ შენი მუდმივი სტუმარი, რადგან შენც ჩემსავით სულით ობოლი ხარ, რადგან ჩემსავით ყველამ მიგატოვა... მაგრამ მე შენთან ვარ!.. და შენც ხომ ტკბილად მესაუბრები, როცა მთვარე მორცხვათ შენს სარკმელში შემოძვრება, როცა ირგვლივ [illegible] ყველა ძილს მიეცემა!.. მაშინ შენი სული თავს მევლება და ნაღვლიანი ხმით სევდის ზღაპარს მომითხრობს.. შენ მომითხრობ, რაც აქ გაგიგონია. გულს ჩაქსოვილ სიტყვებს მე ჩამჩურჩულებ...

ახლაც, საღამოს ჟამს, როცა უკანასკნელი სხივი მოსწყდა დედა-ბუნებას და შენი ქოჩორი დავარცხნა, როცა ნელმა სიომ შენს გვერდით ტირიფთ ფოთოლი ააშრიალა, შენ სახეზე მწუხარების ღიმმა გადაკრა—და ხმა ამოიღე ,ნელის ჩურჩულით ნიავის ტიტინთან ერთად შესაუბრები. აი რა მიამბე:

— ჰაბუკო, ყური დაუგდე, მე მოგიყვები, რაც გულსა შინა მიტარებია; მე გიამბობ დღემდი რაც აქ მინახავს. ოხ, ტკბილია და თან მწარე ჩემი მოთხრობა, შიგ ტანჯვაა სიხარულთან ჩაქსოვილი, სევდა ნეტარებასთან შეერთებული...

ვიხილე ორი ბავში: შიშვლები იყვნენ, შემოხეული საცვლები ოდნავ ფარავდა იმათ სუსტ სხეულს, სევდის ტბათ ქცეულიყო მათი ნაზი თვალები, კანჭები ცეცხლთან ჯდომით დასწვოდათ, ქუსლებით დაიარებოდენ, რადგან ფეხის გულები ეკლებით სავსე ქონდათ... საბრალონი იყვნენ—საბრალონი... მათ მოიტანეს დასაფქვავათ ერთი ბათმანი სიმინდი, ტანჯვით ნაშოვნი... ბავშები ღიმილით შესცქეროდენ ლუკმა საზდოს, ღიმილით შეხაროდენ იმის დაფქვას... მაგრამ მეწისქვილემ საბრალოებს [illegible] მი კოში ²) სიმინდი [illegible] ძარღვი მაშინ გამიწყდა, ავქვითინდი და მდინარეს თხოვნით მივმართე, რათა ცოდვით ნაშენი წისქვილი დაენგრია...

ვნახე ასული ნაზი, უცოდველი, რომელიც აი, ამ ოთახში მეწისქვილის დახმარებით სოფლის დარაჯებმა ძალით შემოათრიეს და საბრალოს ნამუსი ახადეს... მეორე დღეს უბედური აი იმ კლდიდან ხანის წყალში გადავარდა. ოხ, სევდით გული მაშინ გამისკდა... აი, ის წისქვილის ქვა შუაზე ნაპობი, რომელიც ცეცხლის სანთებათლა ვარგა, ჩემი გულია ბოღმით პობილი...

კიდევ ვიხილე სოფლის ბაცაცები, აქ შეკრებილნი. ქათამ-ინდოურები მოეტანათ, ზოგს თვითონ სჭამდენ, ზოგს მეწისქვილეს უტოვებდენ გასაყიდათ...

მრავალი ცუდი მინახავს, გულზე ვსკდებოდი, მაგრამ კარგიც ბევრი მიხილავს. ყოფილხარ წისქვილში ღამით, როცა კერიასთან მესაფქვავენი შეკრბებიან და ტკბილი, დარბაისული მუსაიფით თავს ირთობენ? მრავალი პატიოსანი კაცი მინახავს, ტკბილი მოსაუბრე, და მეც ღრუტუნით ვმუშაობდი, ვტკბებოდი, ყურს ვუგდებდი, ვნეტარებდი...

მაგრამ, როცა ძილის ანგელოზი თავის ფრთას გადააფარებდა მთელ წისქვილს, ამ დროს ორი სულიერი მოქმედობდა წისქვილში: ერთი მხრით ვირთაგვები, მეორე—მეწისქვილე. ეს ორი არსება სახქურდლათ გამოსულიყო და ისე მოქმედებდენ, რომ ერთმანეთსაც არ ერიდებოდენ. მეწისქვილე ცოცვით ხვიმირებში სიმინდს აძრობდა, ვირთაგვა მისგანდაბნეულ მარცვლებსა კრეფდა. მეც გულმოსული ავტოკდებოდი, მაგრამ... მაგრამ... ყველას ეძინა..

გაზაფხულზე მთის ნიაღვარმა სათავე გამირღვია—და მეც დავადუმე ჩემი გული... ყველას გონია, რომ ვსდუმვარ, რადგან აქ სიჩუმეა, მაგრამ მე მხოლოდ ახლა ვჩურჩულობ.. შენ, შენ გაიგე ჩემი გულის თქმა, მარტო შენ დაიარები აქ—და ამით ვსტკბები...

ოხ, მახსოვს ის წამი, ოდეს შენ, სევდით მოცული, დილას აქ შემოხვედი. ფიქრში წასული, ოხვრით ყურეში დაჯექ და წერა დაიწყე ცრემლები, გცვიოდა თვალთაგან, უიმედობის დალი შუბლს გაჯდა, ბოღმის ქსელში გახვეული—ნაღვლიანი მომჩერებოდი... მაგრამ მე უხმო ვიყავ, ვერ განუგეშე, რადგან მე არ მენახა ისეთი სევდა. წყლით სავსე შენი თვალები მე ყველაფერს მეუბნებოდა... მეუბნებოდა, რომ ნუგეში შენთვის ტანჯვა იყო, რომ დიდი, დიდი იყო შენი სევდა... ოხ, დიდი იყო შენი სევდა,—მე ისეთი არაფერი მენახა.. ამიტომ მეც დავდუმდი, მსურდა—შენთან ტირილი დამეწყო, მაგრამ ჩემი ტირილიც შენთვის ტანჯვა იქნებოდა... სიჩუმე ვარჩიე, საიდუმლოების თალხში გავიხლართე, რადგან დიდი იყო შენი სევდა, თან საიდუმლოებით მოცული. შენი ოხვრით ჩემი ძვლები კრთოდა, შენი გულის ძგერა გულს მიწყლულებდა. ცრემლები, ცრემლები ხომ ლოყებს გწვავდა... დიდი, დიდი, იყო შენი სევდა; მე ვერც განუგეშებდი, ვერც რასმე გეტყოდი,—ამიტომ სიჩუმე ვარჩიე...

უცებ გაშტერდი, ტუჩები აგიცახცახდა—და აქვითინდი. ამ დროს ფეხის ხმა მოგესმა: შენი თავი აიღე, თვალები ამოიწმინდე, ღიმმა პირს გადაგკრა, რაღაც იგრძენ... კარი გაიღო,—შენ შეკრთი,—

¹) მდ. იმერეთში.

²) ბათმნის ¹/₁₆ ნაწილია.

---

წელს სცემდა წიგნს სადაც ფინლანდიის კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ სტატისტიკური ცნობები მოიპოვებოდა „პალერვომ" ცენტრალური კავშირების მოწყობაზეც ბევრი შრომა დახარჯა. აგრეთვე მან შეიძინა გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები და იარაღების შეძენას გლეხებს უადვილებდა.

ფინლენდიაში მეურნეობის აყვავებას ხელი შეუწყო სოფლათ ინსტრუკტორების დაგზავნამაც. ინსტრუკტორებათ უმეტესათ აგრონომები, სოფლის მასწავლებლები და კომერციული განათლება მიღებული პირები იყვნენ. მათ ცოდნაც დიდი ქონდათ და მათში ხალხის სიყვარულიც ძლიერი იყო. დადიოდენ სოფლათ, კითხულობდენ ლექციებს მეურნეობასა და კოოპერაციებზე ეწეოდენ აგიტაციას კოოპერაციის სასარგებლოთ და სხვა. ინსტრუკტორთა რიცხვი დიდი იყო და მათ მიერ ყოველ წელს 700 ლექცია იკითხებოდა.

პალერვო ამითაც არ დაკმაყოფილდა და მან მოაწყო დისკუსიების გამართვა კოოპერაციის შესახებ. მოიწვია ამასთანავე კოოპერატორთა კრებები 1900—2—4—7 წლეებში. ამ კრებებს სოფლის კოოპერატორები ესწრებოდენ. აქ წაკითხულმა რეფერატებმა და თქმულმა სიტყვებმა სოფლელ კოოპერატორთა გონებას ბევრი შემატეს. იმ ხანებში საკოპერაციო კურსებიც იმართებოდა. ეს კურსები როგორც, ჰელსინგფორსა, ისე პროვინციის სხვა დაბა-ქალაქ-სოფლებშიც იმართებოდა. კურსები პრაქტიკ კოოპერატორთა რიცხვს ამრავლებდა.

1909 წლიდან პალერვომ კოოპერატიულ კავშირების დახმარებით ფინლანდიის ყოველ კუთხეში სისტემატიური საკოპერაციო კურსები მოაწყო. ამავე წელს ჰელსინგფორსში კოოპერატიული ინსტიტუტი გაიხსნა. ინსტიტუტი ადამიანს სერიოზულ კოოპერატიულ განათლებას აძლევდა. „პალერვო" კიდევ შორს წავიდა. მან კოოპერატიული ლიტერიატურის გამდიდრებაც იწყო. ბეჭდავდა წიგნებს „პალერვოს" ბიბლიოთეკის სახელით. გამოსცა ერთი წლის განმავლობაში 24 წიგნი ფინურ ენაზე და 17 შვედურ ენაზე. იწყო აგრეთვე ჟურნალის) და ფურცლების გამოცემაც. კოოპერატიული ფურცელი 10,000 იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა კიდეც. განსაკუთრებით ყურადღების ღირსი იყო „წლიური". იგი სარკე იყო ფინლანდიაში კოოპერატიული მოძრაობისა. „წლიურს" ბევრ ალაგას უფასოთაც კი არიგებდენ. ბევრს ავრცელებდა კოოპერატიულ ლიტერატურას პალერვოს ინსტრუქტორები. იგინი სოფლათ მოგზაურობის დროს ხალხში უფასოთ არიგებდენ კოოპერატიულ წიგნებს. „პალერვო" სცემს კოოპერატიულ ჟურნალს, რომელიც გამოდის თვეში ორჯერ ფინურ ენაზე, ხოლო ერთჯერ კი შვედურ ენაზე. ამ ჟურნალში თავსდება ადვილ, გასაგები ენით დაწერილი წერილები: კოოპერაციაზე, მეურნეობაზე, აგრარულ პოლიტიკაზე, მეცხვარეობაზე და სხვა სამეურნეო დარგთა შესახებ. ხსენებული ჟურნალის თითოეული ნუმერი 28 ათას ცალამდი სცემდება. ნუ დაივიწყებთ, რომ ფინლანდელთა რიცხვი 3 მილიონამდია. 3 მილიონიან ხალხში რომ სპეციალური ჟურნალის თითოეული ნუმერი 28 ათასი ცალი ვრცელდება, ეს ფაქტი ფინლანდელთა მაღალ კულტუროსნობას ღაღადებს.

პროპაგანდა კოოპერაციების სასარგებლოთ და სოფლათ ორგანიზაციების მოწყობა „პალევროს" ბევრი ფული დაუჯდა. მას ეს ფული უმთავრესათ ჟურნალზე ხელმომწერლებისაგან შემოუვიდა. საზოგადოებას თვით სახელმწიფოც აძლევს სუბსიდიას და კერძო პირებიც ბევრს სწირავენ. ფინლანდიის მთავრობა დიდი თანაგრძნობით ეკიდება კოოპერაციის საქმეს.

როდესაც „პალერვო" დაარსდა მასში წევრთა რიცხვი 430 კაცს არ აღემატებოდა დღეს კი მას 1402 წევრი ყავს. მთავრობა „პალერვოს" ყოველწლიურათ ოთხმოცი ათას მარკას სუბსიდიას აძლევს. საწევრო გადასახადებისაგან და კერძო შემოწირულებისაგან საზოგადოებას ყოველწლივ 11905 მარკა შემოუდის. ეს საზოგადოება ყოველწლიურათ 14100 მარკათ ღირებულ ლიტერატურას არიგებს ხალხში უფასოთ.

ფინლანდიელთა მეურნეობაში თვალსაჩინო ალაგი უჭირავს ერბოს კეთებას. სანამ მხარე კოოპერაციებით მოიფინებოდა, მანამ თითოეული მეურნე ცალკე თავისთვის ამზადებდა ერბოს. ეს ერბო ერთი რომ ვერ იყო კარგათ დამზადებული და მეორეთ მას არც ბაზარი ქონდა შესაფერისი.

ერბოს ბაზარი ჩარჩებს ქონდათ მონოპოლიათ აღებული. ჩარჩების ფარფაშს კოოპერაციის გარცელებამ ფეხი აუღგა. შეერთებული ძალით გამოიწერეს გლეხებმა მანქანა და ერბოს, ამ მანქანის შემწეობით ამზადებდენ. შეადგინეს აგრეთვე ერბოს მომხმარებელი ამხანაგობა და ამის შემდეგ ერბოს კეთებას ოქროს ხანა დაუდგა. ერბოს დღეს ფინლანდიაში საუკეთესო ღირსებისას ამზადებენ და მას ბაზარიც გაფართოებული აქვს.

1909 წელს მომხმარებელ საზოგადოებათა რიცხვი ფინლანდიაში 506 იყო. აქედან 44 ქალაქ ადგილას არსებობდა და დანარჩენი კი სოფლათ. ამავე წელს სასოფლო სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობების რიცხვი 384 იყო. ფინლანდიაში მწარმოებელი ამხანაგობებიც ბევრი არსებობს.

ფინლანდია არაა დიდი მხარე. იქ მცხოვრებლებიც ცოტაა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ფინლანდიაში 1909 წელს 1812 კოოპერატიული დაწესებულება არსებობდა და დღეს კოოპერატიულ დაწესებულებათა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება.

ჩვენში ასეთი არაფერი გაკეთებულა და როდესაც კოოპერაციამ ფეხი ვერ მოიკიდა გვიკვირს, გაკვირვება საქმეს ვერ უშველის და, უმჯობესია იქნება, ჩვენც ფინლანდელების მაგალითს მივბაძოთ.

ქილესი.

იყიდება ნარდათ
ბაპენტილი ბამბა
ყველა ხარისხის

საპჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ-ები
ქუთაისში.

მიიღება ხამში გასა-
რჩევათ და გასაწმენ-
დათ ძლიერ ზომიერ
ფასათ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, გოგიჩაშვილის სახლი.
მაქვს პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი მომივიდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდი ვიწყებ არაჩვეულებრივ

იაფ ვაჭრობას.

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია ფასი შეუვაჭრებლათ
ვაჭრობა ნაღდზე.

იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს ვაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.

უცებ სახე გაგიბრწყინდა—და აღტაცებულმა შესძახე: თამარ!!.

მოციმციმე ასული კარებში იდგა, თვალი მოგავლო, გაგიღიმა... და შენ, წელან მოქვითინე, გამობრწყინდი, განათდი, აღფრთოვანდი. შენი გული სიხარულის ოკეანეთ გადაიქცა, ერთმა მისმა ღიმმა შენ აღტაცების სხივებში ვაგხვია...

დიდი დიდი იყო მაშინ შენი აღტაცება! რულით გულის წვერთან ხორცი კალმით გაიჭერი, ქაღალდზე სისხლით გული დახატე, შიგ შენი სახელი ჩასვი და ასულს მიაწოდე... მან ღიმილით გამოგართვა და უცებ გაქრა... შენც, მცინარე, მისჩერებოდი იმ ადგილს, სადაც ის იდგა და წინ მისი სახე გეხატებოდა...

დიდი, დიდი იყო შენი სიხარული!.. მე კვლავ ვსდუმდი,—ვსდუმდი, რადგან მე ისეთი არც სევდა, არც სიხარული არ მინახავს.

დაჩუმდა ქოხი, ამოიოხრა და მომიბრუნდა: მიპასუხე ნუთუ ის ასული იყო მიზეზი ტანჯვა სიხარულისა?

დიახ, სიყვარული, სიყვარული ჩემი გულის ხვაშიადის მოწმევ, ჩემო ძვირფასო ქოხო!...

**დია ჩიანელი.**

სოფ. დიმი, 16 აგვისტო.

## ომი ბალკანეთზე.

ოფიციალურათ იყო გამოცხადებული, რომ ინგლისის მეფე დელეგატებს მოლაპარაკების დასრულებას შემდეგ მიიღებსო.

დბლეგატების პირველ სხდომაზედვე, სამშაბათს, მეკავშირე სახელმწიფოების დელეგატთა შორის სერბიის მოთხოვნილებათა საკითხზე სრული თანხმობა მოხდა.

მეორე სხდომაზე თითქმის აღნიშნეს ავტონომიური ალბანეთის საზღვრები.

დელეგატთა სხდომები ყოველდღე მოხდება, სანამ საშობაო კანიკულების გამო მუშაობა შეწყდება.

როგორც ლონდონიდან იცნობებიან, ავსტრიის დიპლომატიამ გაიმარჯვა. სერბიის საკითხი საკუთარი ნავსადგურის შესახებ დასამარდა.

ავსტრიამ თანხმობა გააცხადა, რომ სერბიამ ნეიტრალური რკ.-გზით ალბანეთის ერთ-ერთი ნავსაოგურით ისარგებლოსო.

ამ საკითხის გამო ტეხნიკურათ გამოკვლევისათვის დღეს ბელგრადიდან სერბიის გზათა მინისტრი წავიდა.

ერთი დიდი სადაო საკითხი სერბიის საზარალოთ და რუსეთის პრესტიჟისათვის უსარგებლოთ უკვე გაძევეს. ევროპიელთა მშვიდობას საფრთხე ასცილდა, მაგრამ ამან ისხვერპლა სლავიანების ბევრი უფლება. სერბიის საკითხში, ადრიატიკაზე ნავსადგურის შესახებ, ავსტრიის დიპლომატიამ გაიმარჯვა.

სერბიაც გარემოებას დამორჩილდა. პაშიჩმა „ნაროდნი ლისტი"-ს კორესპონდენტს გაუცხადა: ჩვენ გვსურს ავსტრიასთან კეთილი თანხმობით ვიცხოვროთ. ვცდილობდით, რომ ავსტრიის თანხმობა მოგვეპოვებია, მაგრამ ჯერ ჯერობით ჩვენმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, რადგან არ გვსურს დამოკიდულობა, გავამწვაოთ, ამ საკითხის გადაწყვეტა დიდი სახელმწიფოებისათვის მიგვინდვიაო. ავსტრიასა და სერბიას შორის მოლაპარაკება მალე გაიმართებაო.

„რეიტერის სააგენტოს" ცნობით—ხმები, რომ ოსმალეთი ადრიანოპოლის შენარჩუნებას ხელიდან არ უშვებდესო, ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ბალკანეთის დელეგატებზე. ბალკანეთის დელეგატები ფიქრობენ, რომ, მიუხედავათ ადგილობრივ გავრცელებული ცნობებისა, ოსმალეთი ამის მოთხოვნილებას ვერ წარმოგვიდგენსო. დელეგატები ამბობენ, თუ რაიმე ილიუზიები კიდევ არსებობს ამის შესახებ სტამბოლში, მით უკეთესი, რადგან იმ ილიუზიებს მალე გავფანტავთო. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თავისთავს ნებას არ მისცემენ, ადრიანოპოლის საკითხი კონფერენციაზე განიხილონ. ეს საკითხი მათი აზრით გადაწყვეტილია და ადრიანოპოლი ყოველ მიზეზს გარეშე ბულგარეთის ტერიტორიაში უნდა შევიდესო. სხვანაირი წინადადების შემოტანა ოსმალეთის მხრით კონფერენციის უარყოფის სურვილი იქნებოდაო.

## ილიოდორე.

ეპისკოპოზი გერმოგენი, დიდათ შეუწუხებია ილიოდორეს გადაწყვეტილებას ანაფორის გახდის გამო, და გადაუწყვეტია, რაც უნდა დაუჯდეს, იხსნას ილიოდორე ასეთი გადაწყვეტილებისაგან. ეპისკოპოზმა გაზეთ „კოლოკოლ"-ის გამომცემელსა და შინაგან საქმეთა მინისტრს მაკაროვს ვრცელი დეპეში გაუგზავნა პეტერბურგს. სკვორცოვის დეპეში გერმოგენს 60 მანეთი დაჯდომია. ეს დეპეში სინოდს გადასცეს. გერმოგენი სწერს, რომ ილიოდორეს განსაკუთრეაული ბუნების გამო, არ შეუძლია გადაიტანოს ფლორიშჩევის უდაბნოში დატყვევება და სასოწარკვეთილებამდი მივიდა: ამ კაცის გადა[illegible] [illegible] შეუძლებელია; საჭიროა მხოლოდ გაუგზავნოთ მას არქიელები, რათა იმათ ჩააგონონ ილიოდორე. ილიოდორე, ეს ბრწყინვალე ანგელოზი, შემუსვრილი სახით უფსკრულისაკენ მიექანებაო. ასეთი იყო იმ დეპეშის შინაარსი, რომელმაც საყვედური გამოიწვია ილიოდორეს მხრით, როდესაც მისი შინაარსი გაიგო. აქიდან ნათლად სჩანს, რომ ეპ. გერმოგენმა უკვე აცოდა ილიოდორეს რელიგიოზური განცთა და მისი გადაწყვეტილება. ილიოდორესგან მალე წერილი მიიღეს, სადაც სწერდა, რომ იგი სრულებითაც უფსკრულისაკენ არ მიექანება, არამედ ირჩევს მსოფლიო ეკლესიაში ღვთის მსახურების ახალ გზას და დარჩება მასში ღვდლათ. რას გულისხმობს წერილში ილიოდორე მსოფლიო ეკლესიათ ჯერ ძნელია ამის გაგება.

ამ წერილის პასუხათ ეპ. გერმოგენმა გაუგზავნა ილიოდორეს დეპეში.

ეს იყო 19 ნოემბერს და ილიოდორემ დეპეში სწორეთ თავის სახელწოდების დღეს მიიღო. დეპეში შემდეგი შინაარსისა იყო: „შენი სახელის დღეობაზე ჩვენ ვილოცეთ შენთვის. თავი დაანებე შენი მახლობელი ადამიანების სულის ქენჯნას. ნურავითარ უსახელო ეკლესიებს ნუ იგონებ, საჩქაროთ გაგზავნე თხოვნა სინოდში, რათა ღვდლის ხარისხი არ აგხადონო. მეორე დღეს მწუხრზე, როცა ყოვლად სამღვდელო გერმოგენი საკურთხეველში იყო, მას მოუტანეს დეპეში ილიოდორესგან. გერმოგენმა პირჯვარი გამოისახა და წერილი გახსნა. იქ მხოლოდ ორი სიტყვა იყო:

„გმადლობ. მშვიდობით".

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

„ქუთაისის რეალური სასწავლებლის ხელმოკლე მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ანგარიშს მუსიკალურ-დრამატიული სალამოსას, რომელიც გაიმართა ქუთ. ქალ. თეატრში ამ წ. 30 ნოემბერს ხსენებული „საზოგადოების" საშუალებათა გასაძლიერებლათ.

შემოსავალი: 1) ბილეთების გაყიდვისაგან—563 მ. 17 შ. 2) ყვავილებისა, პროგრამებისა კონფეტების გაყიდვისაგან—47 მ. 3) შემოწირულებით—110 მ. 18 შ. 1 კ.

შემოწირულება შემოვიდა შემდეგ პირთაგან, რომელთაც გამგეობა უგულითადეს მადლობას უძღვნის:

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გიორგისაგან—3 მ., ქუთ. გუბერნატორის ა. ი. სლავოჩინსკისაგან—10 მ., ქუთ. ვიცე-გუბერნატორის ა. ა. მაკაროვისაგან—10 მ., სავაჭრო სახლის „კირაკოზოვი, ოგანოვი და კ-ო"-საგან—10 მ., თავ. მ. გ. ფალავასაგან—5 მ., პროკურორის გ. ა. ოკიშორისაგან—5 მ., ვოლგა-კამის ბანკის მართველის ლ. აბრამოვიჩისაგან—5 მ., ფოთის პოლკის უფროსის ? ი. დუბინინისაგან—4 მ. 10 შ., ქალაქის მოურავის მოადგილის პ. ი. მოსიძისაგან—3 მ. 1 აბ., თავ. ი. ზ. მელიქიშვილისაგან—3 მ., ქალთა გიმნაზიის უფროსის ქალის ა. ს. ხრჟანოვსკისაგან—3 მ., ქუთაისის ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანისაგან—3 მ., მომრიგებელ მოსამართლის ვ. ნ. აბულაძისაგან—მან., აქიმის მ. ლ. ლორთქიფანიძისაგან—3 მ., ბ. ბ. კორლანოვისაგან—3 მ., ვ. ე. რეეცკისაგან—3 მ., გ. ი. გველესიანისაგან—2 მ., მასწ. ე. ნ. გლუდოვისაგან—2 მ., მასწ. ვ. ლ. სამარინისაგან—1 მ. 10 შ., ქუთ. [illegible] ათიშორის ა. ოვაკჯანოვისაგან—1 მ. 10 შ., მასწ. ვ. ვ. მაქსიმოვისაგან—7 აბ., მასწ. ქალის ვ. ვოლსკისაგან—1 მ., ი. ს. ფანცხავასაგან—1 მ., ქ-ნ შეფარიანისაგან—1 მ., ნაფ. ვექ. თან. ბ. ჭეიშვილისაგან—1 მ., აქ. გ. ი. გოკიელისაგან—1 მ., ბ. პ. ი. გოკიელისაგან—1 მ., შემდეგ პირთაგან (თითოსგან 9 აბაზი), რომელთაც პირველი რიგის ბილეთებში გადაიხადეს ხუთხუთი მანეთი: თავ დ. ო. ნიჟარაძის, თავ. პ. გ. მიქელაძის და ინჟ. ე. ე. ფრიკისაგან; ამას გარდა უცნობ შემომწირველთაგან—14 მ. 41 კ.

გასავალი იყო 179 მ. 10 შ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 542 მ. 26 კ.

„საზოგადოების" გამგეობა ვალათ რაცხს უღრმესი მადლობა შესწიროს სალამოს გამგეს ეკატერინე ბესარიონის ასულს მოსიძისას, რომელმაც, „საზოგადოების" გამგეობის თავჯდომარის ქ-ნ ო. ი. ოკიშორის ავათმყოფობის გამო, დიდი შრომა და ჯაფა გასწია სალამოს მატერიალურათ წარმატებისათვის; აგრეთვე ქ-ნთ: მ. ა. ბიბერგალისას, ე. ვ. ფენდრიკოვისა, ი. დ. ნაზაროვის და ე. ა. კიუმელის ასულთ და ბ. ა. პ. რიჟინაშვილს.

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის აგრეთვე ქ-ნთ: ლ. ო. ოსიპოვისას, ნ. ი. დმიტრიევისას, ე. პ. ბოლდანოვისას, ი. ა. სტროგანოვისას, ვ. ო. გროზდოვ-დიკოვსკისას, ა. ფ. კუდრიაშევისას, მ. ბ. მუხინისას, მ. ა. კაჩაუნოვისას და ბ-ნთ: დ. ა. მანუილოვს, ლ. ო. ოლენინს, მ. ე. შევჩენკოს, პ. ი. პავლინცს, კ. ვ. კვიტკის, ნ. თ. პერედერეის, ვ. ლ. სამარინს და ვ. ა. კროტკოვს.

ქუთ. ქართული დასის მსახიობთ ქ-ნთ: მ. მდივანსა და ს. ლოლუას ასულს და ბ-ნთ: მ. ე. ჯანოევს (მ. ნემო), ვ. ურუშაძეს, მ. ფ. ქორელს და ვ. ა. ბალანჩივაძეს, რომელთაც წარმოდგენაში და დივერტისმენტში მონაწილეობა მიიღეს.

თავისს გულითად მადლობას უძღვნის გამგეობა აგრეთვე ყველა მათ, ვინც კეთილ ინება და მობძანებით ხელი შეუწყო 30 ნოემბერს გამართულ საქველმოქმედო სალამოს.

**„საზოგადოების" გამგეობა.**

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. შელიძე



იულიუს საარეკ
მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა
და
მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათომის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა
იგა ი. ნ.
უფრთხილდით მიმსგავსებას
მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მაღაზიაში დიდძალი გრამოფონები, მუ-ზიკალური ... და სხვ. ... ვინც ... ნაღდზე, ან- ... (თვიური შემოსავლით).
ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

ვისაც სურს
ქონდეს ნამდვილი ავტომატიური თვითგამანათებელი ფარნები, რაშიც პასუხისმგებელია ინვერტ-ავტომატი (იგა), მიმართოს



ნ. ს.
ტერკს
ქუთაისში, ქარვასლის ქ., ტელ № 127.
ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც.
ნ. ს. ტერკის ფირმის ფარნებით განათებულია ბევრი დაწესებულება, ჰოლკი, დაბა და სოფელი. მაგ.: ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, ფოთის პოლკი, საგუბერნიო ციხე, სოფ. ჩხარი, ლანჩხუთი, ბანძა და სხვ.
მოითხოვეთ უფასოთ „კალილონი" ლამპების სპეციალური პრეისკურანტები.





რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ
ძმ. ე. და პ. საასაშვილების
სავაჭროში, ქუთაისში.
(პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).
იყიდება ქურა (პლეტა), თუჯის ორი „კომფორკით", „დუხოვკით", სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ დაჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები მალიან ცოტა არის მოსული.

ელექტრო-საბეჭდავი ფეოძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.